1. შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

1.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება

სს „ბალავარი” აცხადებს ტენდერს მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, მდებარე ქ. თბილისი, ლილო იუმაშევის ქ. #23-ში (ს/კ 01.19.26.004.347;) სასაწყობე შენობის მშენებლობაზე.

1.2 საქონლის ტექნიკური პარამეტრები/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

ტექნიკური დავალება განსაზღვრავს ძირითად მითითებებსა და მოთხოვნებს, რომელიც შეეხება სს „ბალავარი”-ს არსებულ ტერიტორიაზე სასაწყობე შენობის სამშენებლო სამუშაოების წარმოებას.

მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოები აწარმოოს წინამდებარე ტექნიკური დავალების შესაბამისად.

სამუშაოები უნდა შესრულდეს საქართველოში მოქმედი და მიღებული საერთაშორისო სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.

ტექნიკური დავალების შემადგენელი ნაწილებია:

• საპროექტო დოკუმენტაცია.

პრეტენდენტმა უნდა დაადასტუროს, რომ გაეცნო ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და სამუშაოების წარმოებას უზრუნველყოფს მათი განუხრელი დაცვით. ამისათვის, სატენდერო დოკუმენტაცია მოიცავს დანართ N2-ს - თანხმობას სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ტექნიკურ დავალებაზე, რომელიც პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული სახით, ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.

1.3 ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვა დანართი N1-ში მოცემული ცხრილის შესაბამისად, განფასებული ეროვნულ ვალუტაში, ყველა გადასახადის გათვალისწინებით, მათ შორის დღგ.

1.4 საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

1.4.1. სამშენებლო სამუშაოების შესრულების მაქსიმალური ვადა შეადგენს კონტრაქტორ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 4 (ოთხი) კალენდარულ თვეს.

1.4.2. მიმწოდებელმა სამუშაოების წარმოება უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმების მომდევნო დღიდან და დაასრულოს 4 (ოთხი) კალენდარულ თვეში.

1.4.3. პრეტენდენტმა სამუშაოთა წარმოების შევსებული ფინანსურ კალენდარული გეგმა-გრაფიკი უნდა წარმოადგინოს ტექნიკურ დოკუმენტაციასთან და ხარჯთაღრიცხვასთან ერთად დანართი N3-ით წარმოდგენილი ფორმის შესაბამისად.

1.5 საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

1.5.1. მიმწოდებლის მიერ სამუშაოთა წარმოების საფუძველია „ფინანსურ-კალენდარული გეგმა-გრაფიკი“, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების აუცილებელ ნაწილს და შედგენილია სს „ბალავარი“-ის მოთხოვნათა შესაბამისად;

1.5.2. კალენდარულ გრაფიკში განსაზღვრული ეტაპების ვადის დარღვევის შემთხვევაში, არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ვადაში დამკვეთს წერილობითი სახით უნდა წარუდგინოს კორექტირებული გეგმა-გრაფიკი.

1.5.3. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების თითოეული ეტაპის ვადების არაობიექტური მიზეზით 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით დარღვევა, ასევე, თუ „მიმწოდებელი“ აჩერებს სამუშაოთა წარმოებას 5

კალენდარულ დღეზე უფრო ხანგრძლივი დროით, მაშინ როდესაც ეს შეჩერება არ იყო ასახული კალენდარულ გრაფიკში და/ან არ იყო ნებადადართული „შემსყიდველის“ მიერ.

1.5.4. მხარეები პერიოდულად განიხილავენ სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკის შესრულების საკითხებს და დასაბუთებული მიზეზის შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

1.5.5. ხელშეკრულების შესრულების მთელ პერიოდში, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო და გარემოსდაცვითი და სოციალური საკითების ნორმების განუხრელი შესრულება;

1.5.6. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში აღიარებულ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ ჩაიბაროს ჩატარებული სამუშაოები;

1.5.7. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან და სამუშაოების წარმოების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენებისაგან;

1.5.8. სამუშაოს შესრულების ადგილი: ქ. თბილისი, ლილო იუმაშევის ქ.# 23-ში (ს/კ 01.19.26.004.347)

1.5.9. სამშენებლო სამუშაოებს ზედამხედველობას გაუწევს შემსყიდველის მიერ შერჩეული საზედამხედველო ორგანიზაცია, რომელიც ამასთანავე გაუწევს კონტროლს შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა N2) ექსპერტიზას, შესრულებული სამუშაოების ღირებულების და ხილული ნაწილების მოცულობის დადგენის მიზნით. შემდეგი პროცედურის დაცვით: დამკვეთის მიერ დანიშნული სამუშაოთა მიმღები კომისია (საზედამხედველო ორანიზაცია) მიმწოდებლის მიერ საბოლოო შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა N2) წარდგენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოფს მიწოდებულ სამუშაოზე მონიტორინგის განხორციელებას და ხარვეზების არ არსებობის შემთხვევაში, გამოსცემს შესაბამის დოკუმენტს (თანხმობას შესრულებულ სამუშაოზე).

შემსყიდველი იტოვებს უფლებას წარმოდგენილი დოკუმენტაცია (შესრულებული სამუშაოების აქტები/ფარული სამუშაოების აქტები და სხვა) წარადგენოს შესაბამის საქსპერტო ორგანიზაციაში შესრულებული სამუშოების მოცულობების და ღირებულების დადგენის მიზნით. ექსპერტიზის დასკვნის გაცემიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში სამუშაოთა მიმღები კომისია უზრუნველყოფს სამუშაოს საბოლოო მიღებას და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას. ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში ეს ვადა (15 ან 30 კალენდარული დღე) შეიძლება გაგრძლედეს „შემსყიდველის“ გადაწყვეტილების საფუძველზე.

1.5.10. სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარების პირობები:

ა) სამუშაოს ან მისი ნაწილის მიღება–ჩაბარება ხორციელდება შესრულებული სამუშაოების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშოს ან მისი ნაწილის მოცულობის შესაბამისად. ბ) შსა-ს დადასტურების მიზნით „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შემსყიდველს“ წარუდგინოს მიწოდებული სამუშაოების მოცულობების შესახებ ინფორმაცია ელექტრონული ფორმით გაანგარიშებული ნაზარდი ჯამის პრინციპით.

გ) შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე განსაზღვრული პირი, შესრულებული სამუშაოს ხელშეკრულების დანართებთან (ტექნიკური დავალება და ტექნიკური დავალების დანართები) და საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ახორციელებს შესრულებული სამუშაოს შემოწმებას, განიხილავს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების აქტებს, აუცილებლობის შემთხვევაში ადგენს შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის ინსპექტირების აქტს, ამოწმებს სამუშოების მიწოდების კალენდარული გრაფიკის მიხედვით სამუშაოთა მიმდინარეობას, ამოწმებს ფარულ სამუშაოებს.

დ) იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი შეესაბამება ხელშეკრულებისა და საპროექტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე

განსაზღვრული პირი ამოწმებს შსა-ს, განსაზღვრავს შესრულებული სამუშაოების მოცულობას, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის თანახმად განსაზღვრავს შესრულებული სამუშაოების ღირებულებას და ახორციელებს შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის მიღებას, ხოლო თუ გამოვლინდება, რომ შესრულებული სამუშაო არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების მოთხოვნებს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს არ მიიღოს სამუშაო ან მისი ნაწილი.

1.5.11. სამუშაოთა საბოლოო მიღება:

ა) მიწოდებული სამუშაოს საბოლოო მიღება ხორციელდება კომისიური წესით, რომლის ფორმირების წესს და წევრებს განსაზღვრავს „შემსყიდველი“.

ბ) სამუშაოთა დასრულების შესახებ „მიმწოდებელი“ წერილობით ატყობინებს „შემსყიდველს“ და მიუთითებს თავისი წარმომადგენლის ვინაობას, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს შესმყიდველის მიერ განსაზღვრულ საბოლოოდ სამუშაოთა მიმღები კომისიის საქმიანობაში.

გ) დამკვეთის მიერ დანიშნული სამუშაოთა მიმღები კომისია მიმწოდებლის მიერ საბოლოო შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა N2) წარდგენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოფს მიწოდებულ სამუშაოზე მონიტორინგის განხორციელებას და ხარვეზების არ არსებობის შემთხვევაში, გამოსცემს შესაბამის დოკუმენტს (თანხმობას შესრულებულ სამუშაოზე). შემსყიდველი იტოვებს უფლებას წარმოდგენილი დოკუმენტაცია (შესრულებული სამუშაოების აქტები/ფარული სამუშაოების აქტები და სხვა) წარადგინოს შესაბამის საქსპერტო ორგანიზაციაში შესრულებული სამუშოების მოცულობების და ღირებულების დადგენის მიზნით. ექსპერტიზის დასკვნის გაცემიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში სამუშაოთა მიმღები კომისია უზრუნველყოფს სამუშაოს საბოლოო მიღებას და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვადები 15 და 30 დღე შეიძლება გაგრძლედეს „შემსყიდველის“ გადაწყვეტილების საფუძველზე.

დ) სამუშაოს მიმღები კომისია მოწოდებულ სამუშაოს და ობიექტის დასრულების თაობაზე ხელისმოწერებით ადასტურებს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს.

ე) „შემსყიდველი“ ვალდებულია 1.5.11. პუნქტის "გ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ 30 დღიან ვადაში, წერილობითი სახით, აცნობოს „მიმწოდებელს“ საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ვ) სამუშაოს მიღების და /ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

ზ) იმ შემთხვევაში თუ საბოლოო მიმღები კომისიის მიერ დადასტურდა, რომ შესრულებული სამუშაოები შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს სამუშაოს დასრულების ვადად ჩაითვლება 1.5.11. პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ სამუშაოთა დასრულების შეტყობინების თარიღი, ხოლო თუ საბოლოო მიღებისას გამოვლინდა, რომ ადგილი აქვს რაიმე სახის დეფექტს, ობიექტის მიღება შემსყიდველის მიერ განხორციელდება, ამავე მუხლით განსაზღვრული წესით, მიმწოდებლის მიერ დეფექტის აღმოფხვრის შემდგომ, ხოლო „მიმწოდებელს“ დაეკისრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, სამუშაოთა დასრულების საბოლოო თარიღიდან დეფექტების აღმოფხვრამდე.

1.6 შესასრულებელი სამუშაოს საგარანტიო ვადა

დეფექტების პასუხისმგებლობის პერიოდი შეადგენს 2 (ორი) წელს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოთა დასრულების თარიღიდან. ხელშეკრულების ფარგლებში ყოველი მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან განხორციელდება შესრულებული სამუშაოს ღირებულების 2%-ის დაკავება სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად. დაკავებული 2%-დან 1%-ის დაბრუნება განხორციელდება სამუშაოს სრულად დასრულებისა და „შემსყიდველის“ მიერ შექმნილი სამუშაოთა მიმღები კომისიის მიერ შედგენილი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან დაკავებული თანხის დარჩენილი 1%-ის გადახდა განხორციელდება დეფექტების

პასუხისმგებლობის პერიოდის (საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოთა დასრულების თარიღიდან 2 (ორი) წელი) დასრულებისა და დეფექტების პასუხისმგებლობის პერიოდში დეფექტების არარსებობის შესახებ შემსყიდველის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ შედგენილი აქტის საფუძველზე.

იმ შემთხვევაში თუ სხვადასხვა მიზეზის გამო მიმწოდებელი ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს ან უარს აცხადებს დეფექტების პასუხისმგებლობის პერიოდში დაფიქსირებული ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე, შემსყიდველი (დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით) შეაფასებს ობიექტზე წარმოქმნილი დეფექტების აღმოფხვრის ხარჯს და დაქვითავს დაკავებული თანხის დარჩენილი 1%-ის ფარგლებში. თუ დეფექტების აღმოსაფხვრელად საჭირო თანხა აღემატება წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებული სამუშაოების ღირებულების გათვალისწიებული 1 %-ის ოდენობის გათვალისწინებულ თანხას, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დააკისრებს მიმწოდებელს დარჩენილ განსხვავებას.

სატენდერო დოკუმენტაცია მოიცავს დანართ N4-ს რომლის თანახმადაც მოცემულია ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადებისა და დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის შესახებ.

2. ტექნიკური მოთხოვნები

2.1 მოთხოვნა პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

პრეტენდენტს 2020 წლის 01 იანვრიდან ტენდერისათვის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ სტატუსის მინიჭების თარიღამდე პერიოდში შესრულებული უნდა ქონდეს:

ა) ზოგადი სამშენებლო სამუშაოების შესრულების ჯამური გამოცდილება არანაკლებ 5,000,000.00 (ხუთი მილიონი) ლარის ოდენობით.

ბ) ერთი დასრულებული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამოქალაქო დანიშნულების ახალი შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის გამოცდილება, არანაკლებ 500,000.00 (ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით.

იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტს განხორციელებული აქვს სამოქალაქო დანიშნულების, ახალი შენობა-ნაგებობ(ებ)ის სამშენებლო სამუშაოები საკუთარი ინიციატივით (მეორე პირის დაკვეთის გარეშე), გამოცდილების დადასტურების მიზნით უნდა წარმოადგინოს: შესრულებული სამუშაოების აქტები (ფორმა N2), მშენებლობის ნებართვა, ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, ბრუნვის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, ან ნებისმიერ სხვა დოკუმენტი, რითაც უტყუარად დადასტურდება პრეტენდენტის გამოცდილება.

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ახალი შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის სამუშაოების წარმოების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებ(ები)ა და ამ ხელშეკრულებ(ებ)ის ფარგლებში სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (შესრულებული სამუშაოების უწყისი ე.წ. ფორმა N2).

გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას დანართი N5-ის შესაბამისად.

2.2 იფორმაცია პერსონალის შესახებ.

პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, კერძოდ პროექტის მენეჯერი, ინჟინერ-მშენებელი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილებით არანაკლებ 5 წელი.

ინფორმაცია შემოთავაზებული პერსონალის შესახებ, თანდართული ფორმის მიხედვით, რომელსაც თან უნდა ახლდეს დიპლომის ასლები და წინარე შეთანხმებების წერილი აღნიშნულ სამუშაოებში მონაწილეობის მიღების თაობაზე. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი N6-ის მიხედვით.

2.3 ქვეკონტრაქტორთან დაკავშირებული მოთხოვნები

2.3.1 ქვეკონტრაქტორ(ებ)ი

2.3.1.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, „შემსყიდველთან“ წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია უზრუნველყოს სამუშაოს წარმოება ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მონაწილეობით.

2.3.1.2 ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მეშვეობით სამუშაოთა წარმოების უფლების მიღება „მიმწოდებელს“ გააჩნია მხოლოდ „შემსყიდველთან“ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული უფლების მისაღებად თითოეული ქვეკონტრაქტორის სამუშაოს დაწყების დაგეგმილ თარიღამდე არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე „მიმწოდებელმა“ უნდა წარუდგინოს „შემსყიდველს“ წერილობითი მოთხოვნა ქვეკონტრაქტის გაფორმების უფლების მოსაპოვებლად, ქვეკონტრაქტორ(ებ)თან გაფორმებული ხელშეკრულების პროექტი ან გაფორმებული ხელშეკრულება ან განზრახვათა შესახებ ხელშეკრულება, ასევე ქვეკონტრაქტით შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი, მოცულობები და ღირებულებები.

2.3.1.3 ქვეკონტრაქტ(ებ)ით შესასრულებელი სამუშაოების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წილის ლიმიტი, ხელშეკრულების ფასთან მიმართებაში არ უნდა აღემატებოდეს საერთო ღირებულების 20%-ს.

2.3.1.4. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია უარი განაცხადოს ქვეკონტრაქტორ(ებ)ის სამუშაოს შესრულების პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით. „შემსყიდველის“ მხრიდან უარის თქმად განიხილება ასევე, თუ „მიმწოდებლის“ მხრიდან ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მეშვეობით სამუშაოთა წარმოების მიღებაზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში წერილობით არ ეცნობება „მიმწოდებლის“ მხიდან „შემსყიდველს“.

2.3.1.5 ქვეკოტრაქორ(ებ)ის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით დამდგარ შედეგზე „შემსყიდველის“ წინაშე პასუხისმგებელია მხოლოდ „მიმწოდებელი“.

2.3.1.6 ქვეკოტრაქორ(ებ)ის მიერ შესრულებული სამუშაოს ან გაწეული მომსახურების მიწოდებას და შესაბამისად სამუშაოს ან მომსახურების ჩაბარებას უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

2.3.1.7 ქვეკოტრაქორ(ებ)ის მიერ შესრულებული სამუშაოს ან გაწეული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებელთან“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.3.2 „მიმწოდებელმა“ „შემსყიდველის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვა პირებს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

3. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

3.1 მოითხოვება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

10 (ათი) პროცენტი

3.2 გარანტიის მოქმედების ვადა

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა შეადგენდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არანაკლებ 6 (ექვსი) კალენდარულ თვეს.

3.3 გარანტიის პირობები

1. წინამდებარე ელექტრონულ ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N7-ით გათვალისწინებული შინაარსის დაცვით, შესაბამისად პრეტენდენტი წინამდებარე ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობით, ავტომატურად გამოხატავს ვალდებულებას, რომ მზად არის (შეთანხმებული აქვს საქართველოში მოქმედ საფინანსო ინსტიტუტთან) წარმოადგინოს სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N7-ით გათვალისწინებული შინაარსის, ხელშეკრულების შესრულების

უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომელიც სავალდებულოდ გაცემული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულებიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო ან სადაზღვევო დაწესებულების მიერ), შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი, გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი, უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული, სატენდერო დოკუმენტაციის დანართ N7-ში მოცემული პირობების შესაბამისად.

3. ამხნაგობის მიერ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიაში მითითებული უნდა იყოს ამხანაგობაში შემავალი ყველა პირი.

4. მას შემდეგ, რაც შემსყიდველის გადაწყვეტილებით გამოვლინდება გამარჯვებული, პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია სატენდერო პირობების შესაბამისად.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1.1 წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობა და პირობები

4.1.1.1. საავანსო ანგარიშსწორება შესაძლებელია შემსყიდველთან შეთანხმებული შინაარსის, უპირობო, გამოუთხოვადი, წინასწარი (საავანსო) ანგარიშსწორების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა, სამუშაოების დასრულების თარიღს უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 2 (ორი) თვით, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და რომელიც სავალდებულოდ გაცემული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულებიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ, არ განიხილება სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გარანტიები), შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი, გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი, უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული.

4.1.1.2. ავანსის მოცულობას და პერიოდულობას განსაზღვრავს შემსყიდველი მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 30% -ს.

4.1.1.3. წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მის მიერ შესაბამის თანხაზე საქართველოში მოქმედი საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.1.1.4. წინასწარ ავანსის სახით გადარიცხული თანხის დაქვითვა განხორციელდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დადასტურებული შსა-ს, მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, შემსყიდველის მიერ გადახდის უწყისის დამოწმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.1.1.5. საავანსო თანხის დაქვითვა, ყოველი მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან, განხორციელდება შემსყიდველის მიერ ყოველ ეტაპზე განსაზღვრული პროპორციით.

შენიშვნა: *პრეტენდენტმა სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ავანსის მოთხოვნის თაობაზე. აღნიშნული ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში საავანსო ანგარიშსწორება არ განიხილება.*

4.2 ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

4.2.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის ანგარიშის ნომერზე გადარიცხვით, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების შესაბამისად.

4.2.2. სამშენებლო სამუშაოების მიწოდებისას ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მხარეთა უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად დადასტურებული შსა-ს, მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4.2.3. მიმწოდებლის არგუმენტირებული მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება საქართველოში მოქმედი საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული შემსყიდველთან შეთანხმებული შინაარსის უპირობო, გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა, სამუშაოების დასრულების თარიღს უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 2 (ორი) თვით.

4.2.4. ავანსის მოცულობას და პერიოდულობას განსაზღვრავს შემსყიდველი მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 30% -ს.

4.2.5. წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მის მიერ შესაბამის თანხაზე საქართველოში მოქმედი საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2.6. წინასწარ ავანსის სახით გადარიცხული თანხის დაქვითვა განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დადასტურებული შსა-ს, მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, შემსყიდველის მიერ გადახდის უწყისის დამოწმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2.7. ყოველი მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან განხორციელდება საავანსო თანხის დაქვითვა შემსყიდველის მიერ ყოველ ეტაპზე განსაზღვრული პროპორციით.

4.2.8. ყოველი მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან განხორციელდება შესრულებული სამუშაოს ღირებულების 2%-ის დაკავება სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად. დაკავებული 2%-დან 1%-ის დაბრუნება განხორციელდება სამუშაოს სრულად დასრულებისა და შემსყიდველის მიერ შექმნილი სამუშაოთა მიმღები კომისიის მიერ შედგენილი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან დაკავებული თანხის დარჩენილი 1%-ის გადახდა განხორციელდება დეფექტების პასუხისმგებლობის პერიოდის (საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოთა დასრულების თარიღიდან 2 (ორი) წელი) დასრულებისა და დეფექტების პასუხისმგებლობის პერიოდში დეფექტების არარსებობის შესახებ შემსყიდველის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ შედგენილი აქტის საფუძველზე.

4.2.9. იმ შემთხვევაში თუ სხვადასხვა მიზეზის გამო მიმწოდებელი ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს ან უარს აცხადებს დეფექტების პასუხისმგებლობის პერიოდში დაფიქსირებული ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე, შემსყიდველი (დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით) შეაფასებს ობიექტზე წარმოქმნილი დეფექტების აღმოფხვრის ხარჯს და დაქვითავს დაკავებული თანხის დარჩენილი 1%-ის ფარგლებში. თუ დეფექტების აღმოსაფხვრელად საჭირო თანხა აღემატება წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებული სამუშაოების ღირებულების 7.2.8. პუნქტით გათვალისწიებული 1 %-ის ოდენობას პუნქტით გათვალისწინებულ თანხას, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დააკისრებს მიმწოდებელს დარჩენილ განსხვავებას.

4.2.10. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულება შეწყდება ვადაზე ადრე ან/და მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ უზრუნველყოფს მომსახურების ან სამუშაოს შესრულებას და მხარეები ვერ

შეთანხმდებიან ამ ვადის გაგრძელებაზე, მიმწოდებელი ვალდებულია შესაბამისი შეტყობინების გაგზავნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დააბრუნოს წინასწარ ავანსის სახით გადარიცხული თანხიდან შეუსრულებელი ვალდებულების პროპორციული ღირებულების შესაბამისი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმართოს გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტს), ავანსის სახით გადარიცხული თანხის ფარგლებში მიმწოდებლის მხრიდან შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების პროპორციულად გათვალისწინებული თანხის დაბრუნებაზე, ასევე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ პირველივე მოთხოვნის წაყენებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში დააბრუნოს არაუზრუნველყოფილი საავანსო თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებლის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების მოქმედების ვადა გრძელდება ვალდებულების სრულ შესრულებამდე.

4.2.11. სამუშაოთა საბოლოო მიღება:

ა) მიწოდებული სამუშაოს საბოლოო მიღება ხორციელდება კომისიური წესით, რომლის ფორმირების წესს და წევრებს განსაზღვრავს „შემსყიდველი“.

ბ) სამუშაოთა დასრულების შესახებ „მიმწოდებელი“ წერილობით ატყობინებს „შემსყიდველს“ და მიუთითებს თავისი წარმომადგენლის ვინაობას, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს შესმყიდველის მიერ განსაზღვრულ საბოლოოდ სამუშაოთა მიმღები კომისიის საქმიანობაში.

გ) დამკვეთის მიერ დანიშნული სამუშაოთა მიმღები კომისია მიმწოდებლის მიერ საბოლოო შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა N2) წარდგენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოფს მიწოდებულ სამუშაოზე მონიტორინგის განხორციელებას და ხარვეზების არ არსებობის შემთხვევაში, გამოსცემს შესაბამის დოკუმენტს (თანხმობას შესრულებულ სამუშაოზე). შემსყიდველი იტოვებს უფლებას წარმოდგენილი დოკუმენტაცია (შესრულებული სამუშაოების აქტები/ფარული სამუშაოების აქტები და სხვა) წარადგენოს შესაბამის საქსპერტო ორგანიზაციაში შესრულებული სამუშოების მოცულობების და ღირებულების დადგენის მიზნით. ექსპერტიზის დასკვნის გაცემიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში სამუშაოთა მიმღები კომისია უზრუნველყოფს სამუშაოს საბოლოო მიღებას და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვადები 15 და 30 დღე შეიძლება გაგრძლედეს „შემსყიდველის“ გადაწყვეტილების საფუძველზე.

დ) სამუშოს მიმღები კომისია მოწოდებულ სამუშაოს და ობიექტის დასრულების თაობაზე ხელისმოწერებით ადასტურებს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს.

ე) „შემსყიდველი“ ვალდებულია 1.5.11. პუნქტის "გ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ 30 დღიან ვადაში, წერილობითი სახით, აცნობოს „მიმწოდებელს“ საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ვ) სამუშაოს მიღების და /ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

ზ) იმ შემთხვევაში თუ საბოლოო მიმღები კომისიის მიერ დადასტურდა, რომ შესრულებული სამუშაოები შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს სამუშაოს დასრულების ვადად ჩაითვლება 1.5.11. პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ სამუშაოთა დასრულების შეტყობინების თარიღი, ხოლო თუ საბოლოო მიღებისას გამოვლინდა, რომ ადგილი აქვს რაიმე სახის დეფექტს, ობიექტის მიღება შემსყიდველის მიერ განხორციელდება, ამავე მუხლით განსაზღვრული წესით, მიმწოდებლის მიერ დეფექტის აღმოფხვრის შემდგომ, ხოლო „მიმწოდებელს“ დაეკისრება ხელშეკრულებით (იხილეთ ხელშეკრულების პროექტის 14.1. პუნქტი) გათვალისწინებული პირგასამტეხლო, სამუშაოთა დასრულების საბოლოო თარიღიდან დეფექტების აღმოფხვრამდე.

4.3 ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები

4.3.1. სამშენებლო სამუშაოების მიწოდებისას ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მხარეთა უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად დადასტურებული შსა-ს, მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

4.3.2. წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მის მიერ შესაბამის თანხაზე საქართველოში მოქმედი საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია

5.1 საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები

გიორგი ყიფიანი 555 53 55 66

ანა ქავთარაძე 591 94 84 88

6. დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

6.1 დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

<u>პრეტენდენტის მიერ სისტემაში წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:</u>

1. დანართი N1 - ხარჯთაღრიცხვა;
2. დანართი N2 - თანხმობა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ტექნიკურ დავალებაზე;
3. დანართი N3 - ფინანსურ-ხაზობრივი გეგმა-გრაფიკი;
4. დანართი N4 - თანხმობა შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადებისა (დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი);
5. დანართი N5 - ინფორმაცია გამოცდილების შესახებ;
6. დანართი N6 - ინფორმაცია შემოთავაზებული პერსონალის შესახებ;
7. ინფორმაცია ავანსის მოთხოვნის შესახებ;
8. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ (კომპანიის პროფილი);
9. განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
10. განახლებული ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არ არსებობის შესახებ.